

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი № 36-1

ქ. ბათუმი  
სხდომას ესწრებოდნენ:

30 დეკემბერი 2019 წელი

კომისიის წევრები:

თინათინ ზოიძე - კომისიის თავმჯდომარე, დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ჯაბა ბერიძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

თამარ კაიკაციშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი.

ლენა ჩაჩუა - საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, კომისიის წევრი.

ლელია დავითაძე - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, კომისიის წევრი.

კომისიის აპარატის წევრი:

ნინო მიქელაძე - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოხსენიეს:

1. ჯაბა ბერიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) გზით. შესაბამისად საჭიროა კომისიის მიერ მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

2. 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, პრეისკურანტით. პრეისკურანტის ღირებულება - 89 763 ლარი , ხოლო შესყიდვის ობიექტის სარაოდო ღირებულება - 9500 ლარი

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს აღნიშნული შესყიდვის განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) გამოცხადებას.

დაადგინეს:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე:  /თ.ზოიძე/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:  /ჯ.ბერიძე/

კომისიის წევრები:  /თ.კაიკაციშვილი/

 /ლ. ჩაჩუა/

 /ლ. დავითაძე/

კომისიის აპარატის წევრი:  /ნ. მიქელაძე/